



ევროპული მემკვიდრეობის
დღეები

ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეული

#EHDs საპილოტე ინიციატივა
ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის







რა არის ეს?

ევროპული მემკვიდრეობის დღეები (ემდ) კულტურულ ღონისძიებათა ყველაზე მასშტაბური და პოპულარული ციკლია ევროპაში, რომლის ფარგლებში ევროპის კულტურული კონვენციის წევრ 50 ქვეყანაში ყოველწლიურად 70 000-ზე მეტი ღონისძიება ტარდება. ამ ღონისძიებებში 30 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ეს ერთობლივი წამოწყება სახალხო ინიციატივის უნიკალური მაგალითია, რომელშიც ევროპის მილიონობით მოქალაქეა ჩართული.

ბავშვებსა და ახალგაზრდებს უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციაში; სწორედ ისინი არიან იდეებისა და წამოწყებების ყველაზე ძვირფასი წყარო კულტურის სფეროში. ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეული (ემშკ) დაფუძნდა, როგორც ემდ-ის მთავარი ინიციატივა კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი (კმენ) 2018-ის ფარგლებში, რომელიც ორი ძირითადი გზავნილით მიმდინარეობდა: „კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი: გაზიარების ხელოვნება“ და „ჩვენი მემკვიდრეობა: სადაც წარსული ხვდება მომავალს“.

მემკვიდრეობის შემოქმედთა შეკრება პირველად 2013 წელს, ფინეთში ჩატარდა, 2014 წელს კი მან საერთაშორისო მასშტაბი შეიძინა. ევროპული მემკვიდრეობის დღეების ასამბლეამ, რომელიც 50 ევროპული სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან შედგება, ეს წამოწყება სცნო ნოვატორულ და მდგრად ინიციატივად. ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ მასში მონაწილეობა როგორც ინტერნეტის საშუალებით,

ასევე თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.

ინიციატივის მიზანია, მოისმინოს ბავშვებისა და ახალგაზრდების ხმა, წაახალისოს ისინი და ევროპული მემკვიდრეობის მომავალი შემოქმედები გამოავლინოს მათში. ემდ-ის მიზანია აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის ევროპული აღქმის სრულყოფა და გაძლიერება ბავშვების ხედვითა და მოსაზრებებით. ის ეყრდნობა „ამბებს“, რომლებსაც ბავშვები და ახალგაზრდები ჩაულმავდებიან, უკეთ გაეცნობიან და გაგვიზიარებენ თავიანთი მემკვიდრეობის ძეგლების საკუთარი ინტერპრეტაციის სახით. ეს არის შემოქმედებითი შესაძლებლობა ჩვენი საზოგადოების ყველაზე პატარა წევრებისთვის, სიღრმისეულად გაიცნონ და სხვებსაც გააცნონ თავიანთი კულტურული და ისტორიული ღირსშესანიშნაობები.

ამ კვირეულის მანძილზე საჭიროა ბავშვებისა და ახალგაზრდების წახალისება, უკეთ დააკვირდნ საკუთარ გარემოცვას, თავიანთ მშობლიურ თუ საცხოვრებელ ადგილებთან ახლომდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და შემოგვთავაზონ მათი ამბები ევროპულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში. ამ ისტორიების ატირთვა შეუძლიათ თავად ავტორებს, მათ მშობლებს ან ოფიციალურ მეურვეებს ციფრულ ფორმატში (სურათები, ნახატები, გრაფიკული გამოსახულებები, ფოტოები, ნახაზები ან კომიქსები) ემდ პორტალზე. ციფრულ მასალას უნდა ახლდეს შესაბამისი თხრობითი ნაწილი - დამატებითი ინფორმაციის შემცველი ტექსტი. **გთხოვთ, გაითვალისწინოთ**, რომ ამ ინიციატივაში თქვენი მონაწილეობის საბოლოო წესებს ადგენს თქვენი ქვეყნის ეროვნული საკოორდინაციო ოფისი.



ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეულის მიზნებია:

- ★ მთააგონოს და წაახალისოს ბავშვები და ახალგაზრდები, შეისწავლონ, გააანალიზონ, გაითავისონ თავიანთი მემკვიდრეობა; გააცნობიერონ, რომ ის ერთიან ევროპულ სივრცეს ეკუთვნის.
- ★ შეაგროვოს გამოცდილება და ისტორიები, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ ესმით ბავშვებსა და ახალგაზრდებს ადგილობრივი მემკვიდრეობის ევროპული მასშტაბი.
- ★ მოიძიოს და წარმოაჩინოს მემკვიდრეობის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდული ჯგუფები და ერთობები.
- ★ წარმოაჩინოს მომავალი #HeritageMakers და დააკავშიროს ისინი თავიანთ თანატოლებთან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

თუ ხარ 12-დან 18 წლამდე და გიყვარს დაკვირვება, ძიება, შესწავლა და გაინტერესებს შენი გარემომცველი მემკვიდრეობა, შენ ნამდვილი #HeritageMakers ხარ, სწორედ შენ გეძებთ! უნდა სთხოვო მშობელს ან მეურვეს, ემდ-ის ვებ-გვერდზე გამოგვიგზავნოს შენი ამბავი შესაბამის ფოტოსთან ან ვიდეოსთან ერთად, რომელსაც უნდა ახლდეს ინფორმაცია შენ შესახებ (სახელი და ასაკი). შენი ამბავი გამოქვეყნდება ემდ-ის პორტალზე.

ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეულში მონაწილეობისთვის ვინვევთ:

- ბავშვებსა და ახალგაზრდებს 12-დან 18 წლამდე შემდეგი ქვეყნებიდან: ესპანეთი, ესტონეთი, ისლანდია, ლატვია, მონტენეგრო, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი, საქართველო, უკრაინა, ფინეთი, ჩრდილოეთ მაკედონია (რადგან ეს საპილოტე ინიციატივაა, დამატებით ქვეყნებსაც შეუძლიათ მონაწილეობა).

თუ თქვენი ქვეყანა არ არის ჩამონათვალში, მაგრამ გინდათ კვირეულში მონაწილეობის მიღება, მოგვწერეთ მისამართზე: jep-ehd@coe.int, ჩვენ დაგაკავშირებთ თქვენი ქვეყნის ეროვნულ კოორდინატორთან.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აუცილებელია, მასალა გამოგზავნოს თავად ამბის ავტორმა მშობლის, მასწავლებლის ან ოფიციალური მეურვის თანდასწრებით და დახმარებით.



როგორ შეუძლია თავისი ამბის მოყოლა მემკვიდრეობის შემოქმედს?

მემკვიდრეობის ევროპული დღეები იწვევს ახალგაზრდა ავტორებს, წარმოაჩინონ ევროპული მასშტაბის¹ საკუთარი აღქმა და ხაზი გაუსვან იმას, თუ რომელ ევროპულ ფასეულობებს ეხმიანება მემკვიდრეობის ძეგლი, რომელზეც ისინი მოგვითხრობენ.

შეგიძლიათ, გამოგზავნოთ თქვენი ამბავი ღონისძიების ეროვნულ გვერდზე სტუმრის წიგნის სექციაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის 10 აპრილიდან.

შეგიძლიათ, თვალი ადევნოთ ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეულის გვერდს, რათა მიიღოთ მეტი ინფორმაცია და გაიგოთ, როდის იქნება ბმული ხელმისაწვდომი თქვენს ქვეყანაში.

მასალა უნდა გაიგზავნოს იმ ქვეყნის ღონისძიების გვერდზე, რომელშიც მოხდა მასალაში მოთხრობილი ამბავი. მონაწილეებმა **ეროვნული გვერდის სტუმრის წიგნში უნდა ატვირთონ გამოსახულება, რომელიც წარმოადგენს მათი ევროპული მემკვიდრეობის ისტორიას.** ამბავს უნდა

ახლდეს **ერთი ციფრული გამოსახულება ან ბმული ვიდეოზე, ავტორის სახელი, ასაკი და მოკლე ტექსტი**, რომელიც აღწერს ევროპის ისტორიას კულტურული მემკვიდრეობის იმ ძეგლთან მიმართებაში, რომელიც ამ ამბავშია წარმოჩენილი (დეტალები შეიძლება მოცემული იყოს ავტორის მშობლიურ ენაზე).

მას შემდეგ, რაც ემდ-ის პორტალზე ყველა გაგზავნილი ამბავი გამოქვეყნდება, თითოეული მონაწილე ქვეყანა შეარჩევს მაქსიმუმ 5 ამბავს და გაუგზავნის მათ ევროპულ პანელს.

ევროპული პანელი შეარჩევს მინიმუმ 10 ყველაზე შთამბეჭდავ ამბავს. მათ ავტორებს სტუმრად მიიწვევენ სტრასბურგში!

ევროპული პანელი 7 წევრისგან შედგება: ევროპის საბჭოს მიერ დასახელებული 2 საერთაშორისო ექსპერტი, ევროკომისიის მიერ დასახელებული 2 წარმომადგენელი, ევროპული მემკვიდრეობის დღეების ეროვნული კოორდინატორების 2 წარმომადგენელი და 1 რეგულაციური ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი.

¹ მოვუწოდებთ ამბების ავტორებს, ევროპული მემკვიდრეობის საკუთარი კონცეფცია წარმოაჩინონ ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ფასეულობებზე დაყრდნობით, რომლებიც ევროპის საბჭოს მიერ დეკლარირებული ღირებულებებია.



მასალების გაგზავნის კრიტერიუმები

წარმოდგენილი ამბები უნდა პასუხობდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ✓ ამბის ავტორი უნდა იყოს 12-დან 18 წლამდე ამბის გაგზავნის მომენტში.
- ✓ ავტორმა ამბავი უნდა გაგზავნოს თავის მშობლიურ ენაზე ან ინგლისურად.
- ✓ გამგზავნმა უნდა განაცხადოს, რომ აქვს ამბის გაგზავნის უფლება, რისთვისაც ამბის ატვირთვამდე უნდა დაეთანხმოს ვადებსა და პირობებს განაცხადში შესაბამისი გრაფის მონიშვნით.
- ✓ გაგზავნოს მინიმუმ 1 ამბავი. გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ ქვეყანას განსხვავებული წესები აქვს. აუცილებლად ენციეთ თქვენი ქვეყნის გვერდს, რადგან სხვადასხვა ქვეყნის წესებში შეიძლება იყოს გარკვეული განსხვავებები.
- ✓ ევროპის საბჭო იტოვებს უფლებას, არ მიიღოს ან წაშალოს ამბები ევროპული მემკვიდრეობის ძეგლების ვებ-გვერდიდან, თუ ისინი დადგენილ კრიტერიუმებს არ შეესაბამება. ევროპის საბჭოს უფლება აქვს ასევე, არ მიიღოს ან წაშალოს ევროპული მემკვიდრეობის ძეგლების ვებ-გვერდიდან მასალა, რომელიც გაიგზავნა ევროპული მემკვიდრეობის ძეგლების ვებ გვერდზე მითითებული პირობების დარღვევით.

გამოქვეყნებული ისტორიების შერჩევის კრიტერიუმები

ყველა ამბავი, რომელიც შეესაბამება მონაწილეობისთვის სავალდებულო კრიტერიუმებს, გამოქვეყნდება, როგორც ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა ამბავი და წარმოჩინდება ევროპულ დონეზე. ამბავი გამოქვეყნდება იმ ენაზე, რომელზეც დაინერა.

2019 წელს ევროპული მემკვიდრეობის დღეების პანევროპული თემაა „ხელოვნება და გართობა“. მოვუწოდებთ ავტორებს, მოიძიონ და წარმოაჩინონ როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ევროპული ისტორია ამ თემის ირგვლივ.

რას ვეძებთ თქვენს ამბებში?

- ★ რას ხედავთ ევროპულს თქვენს კულტურულ მემკვიდრეობაში?
- ★ რა არის თქვენი შერჩეული ძეგლისა და შესაბამისი ამბის ყველაზე საინტერესო მახასიათებელი, არის თუ არა ის უნიკალური თქვენი კულტურული გარემოსთვის და არის თუ არა ის საერთო სხვა ქვეყნებისთვის?
- ★ რა არის თქვენთვის ევროპული მემკვიდრეობა?
- ★ რისი თქმა შეუძლია თქვენს ამბავს ევროპაში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ?

რას ამბობს თქვენი ამბავი ერთიანი ევროპის შესახებ?

როგორ წარმოაჩინოთ ისტორიას სურათებითა და სიტყვებით?

ამბები შერჩეული იქნება:

- ✓ ორიგინალურობისა და კრეატიულობის მიხედვით;
- ✓ იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად პასუხობს ამბავი ზემოთდასმულ კითხვებს.



მნიშვნელოვანი თარიღები

ეს საპილოტე პროექტია, რომელიც ხორციელდება
კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი 2018 -ის
ფარგლებში და გაგრძელდება თებერვლიდან სექტემბრამდე.



2019 წლის 18 თებერვალი:

ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეულის გამოცხადება

თითოეულ ჯგუფსა თუ თემს შეუძლია, შეუერთდეს ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეულს ნებისმიერი შემოქმედებითი ფორმით. ეს შეიძლება იყოს თემატური დღის ან კვირეულის ორგანიზება სკოლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კლუბებში, ასოციაციებში, სათემო ცენტრებში, კულტურულ ორგანიზაციებსა და ცენტრებში; თანამშრომლობა პარტნიორებთან, რომლებიც აწყობენ აქტივობებს ბავშვებისა და მოზარდებისთვის; მუშაობა მეგობრებთან, და-ძმებთან, თანატოლებთან.

ეროვნული კოორდინატორები, ადგილობრივ კოორდინატორებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეულის მოწყობაში. მათი ვალია ინფორმაციის გავრცელება #HeritageMakers კვირეულის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური მობილიზაციისთვისაც და ბავშვებისა და ახალგაზრდების წასახალისებლად და მოსამზადებლად, რომ კვირეულის განმავლობაში აქტიურად გაგვიზიარონ თავიანთი ისტორიები.



18 აპრილი - 1 მაისი 2019:

თხრობის გამოცდილება: ძიებები, მიგნებები და ამბების ატვირთვა

18 აპრილი ორმაგად მნიშვნელოვანი თარიღია: ამ დღეს აღინიშნება

[მემკვიდრეობის მსოფლიო დღე და ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო დღე](#). ამ ორი მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად მოვუწოდებთ ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა, დააკვირდნენ თავიანთ გარემოს ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე.

ამ კვირეულის მანძილზე გვსურს ბავშვებისა და ახალგაზრდების წახალისება, უკეთ დააკვირდნენ საკუთარ გარემოცვას, მათ

საცხოვრებელ ადგილებთან ახლომდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და შემოგვთავაზონ მათი ამბები ევროპულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში. ამ ისტორიების ატვირთვა შესაძლებელია ციფრული გამოსახულების ან ვიდეოს სახით (სურათები, ნახატები, გრაფიკული გამოსახულებები, ფოტოები, ნახაზები ან კომიქსები) [ემდ პორტალზე](#). ციფრულ მასალას უნდა ახლდეს შესაბამისი თხრობითი ნაწილი - დამატებითი ინფორმაციის შემცველი ტექსტი.



5 - 9 მაისი 2019:

ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეული

ამბების თხრობისა და გაზიარების გამოცდილებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საზეიმო კვირეული ერთვის:

იცოდით, რომ ევროპის საბჭო [ევროპის დღეს 5 მაისს](#) აღნიშნავს, ხოლო ევროკავშირი - [9 მაისს](#)?

2019 წელს გვინდა, „ხელოვნებისა და გართობის“ სფეროში ერთიანი ევროპული

ხედვა ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ მოთხრობილი, ევროპასთან დაკავშირებული ამბების წარმოჩენით ვიზიტირებოთ. სწორედ ეს არის „ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეულის“ ტეშმარიტი სულისკვეთება. ასე წარმოვანებთ ევროპული ახალგაზრდების ცოდნას, მრავალფეროვნებას, ერთიანობასა და საერთო ფასეულობებს.



1 ივნისი 2019:

#HeritageMakers წინასწარი შერჩევა ეროვნულ დონეზე

ეროვნული კოორდინატორები მონაწილე ქვეყნებიდან **წინასწარ შეარჩევენ ხუთამდე** ყველაზე საინტერესო ისტორიას თითოეული ქვეყნიდან და გაუგზავნა მათ ევროპული მემკვიდრეობის დღეების სამდივნოს, საბოლოო შერჩევისათვის. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეროვნულ დონეზე წინასწარი შერჩევა

ხდება ევროპული მემკვიდრეობის დღეების ეროვნული საკოორდინაციო სამსახურის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად და ეს წესები შესაძლოა, განსხვავდებოდეს თითოეულ ქვეყანაში. ეს ამბები გამოქვეყნდება ევროპული მემკვიდრეობის დღეების პორტალზე, ყველა სხვა ისტორიასთან ერთად.



1 ივლისი 2019:

#HeritageMakers საბოლოო შერჩევა ევროპულ დონეზე

ევროპული მემკვიდრეობის დღეების ჟიური შეარჩევს მინიმუმ 10 შემოქმედს, რომლებიც ესტუმრებიან სტრასბურგს და შეხვდებიან თავიანთ თანატოლებს ევროპის სხვა ქვეყნებიდან. ყველა ისტორია

გამოქვეყნდება ევროპული მემკვიდრეობის დღეების პორტალზე, საინფორმაციო ბიულეტენში და ევროპული მემკვიდრეობის დღეების სოციალური მედიის საშუალებებში.



ნოემბერი: #HeritageMakers ვიზიტი სტრასბურგში

სტრასბურგი, რომელიც მდებარეობს 650 კმ-ის რადიუსში ისეთი ქალაქებიდან, როგორიცაა პარიზი, ჟენევა, ლუქსემბურგი, ვადუცი, მილანი, მიუნხენი, ზალსბურგი, პრაღა, ფრანკფურტი, ბრიუსელი და ამსტერდამი, ევროპის გზასაყარი იყო 2000 წლის მანძილზე. მისი სახელი „გზების ქალაქს“ ნიშნავს.


1949 წლის 5 მაისიდან სტრასბურგი საერთო ევროპული ფასეულობების ერთიანობის სიმბოლოა და მასპინძლობს ევროპულ ინსტიტუციებს: ევროპის საბჭოს, ევროპის პარლამენტს და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ის ევროპული ინტეგრაციის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სიმბოლოა.

სტრასბურგის ევროპულ უბანს მიენიჭა

ევროპული მემკვიდრეობის ნიშანი, ქალაქის ცენტრი კი [UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლადაა](#) აღიარებული. სტრასბურგი ცნობილია ასევე 1000 წლის კათედრალით და 400 წლის საშობაო ბაზრით. ამრიგად, ნოემბრის ბოლო წლის იდეალური დროა #HeritageMakers ვიზიტისთვის. სტუმარ ბავშვებს, ახალგაზრდებს და მათ მშობლებს, ოფიციალურ მეურვეებს, მასწავლებლებსა თუ მშობლების მიერ უფლებამოსილ თანმხლებ პირებს ელით ერთდღიანი ტური სტრასბურგში გიდის თანხლებით. ეს არის შთამბეჭდავი შანსი მემკვიდრეობის შემოქმედთათვის, გაიცნონ ერთმანეთი, გაუზიარონ ერთმანეთს იდეები, ეწვიონ ევროპულ ინსტიტუციებს, დაათვალიერონ სტრასბურგი და მისი ცნობილი საშობაო ბაზარი.

მგზავრობა და დაბინავება

მონაწილეებს თავიანთი ქვეყნებიდან სტრასბურგში გამგზავრებისა და უკან დაბრუნების ხარჯებს უფარავს ევროპული მემკვიდრეობის დღეების პროგრამა, მინვუელი ბავშვის/ახალგაზრდის და მისი თანხლები პირის სტრასბურგში განთავსებას კი ანაზღაურებს ევროპის ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც სტრასბურგის ევროპული უბნის შუაგულში მდებარეობს.



სასარგებლო ბმულები

ევროპული მემკვიდრეობის შემოქმედთა კვირეული (ემშკ)

www.europeanheritagedays.com/European-Heritage-Makers-Week/

ევროპული მემკვიდრეობის დღეები

www.europeanheritagedays.com

ევროპის კულტურული კონვენცია

www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/018

მემკვიდრეობის მსოფლიო დღე, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო დღე

www.icomos.org/en/focus/18-april-international-day-for-monuments-and-sites

ევროპის დღე 5 მაისი

www.coe.int/en/web/portal/5-may-europe-day

ევროპის დღე 9 მაისი

www.europa.eu/european-union/about-eu/symbols/europe-day_en

კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი (კმენ) 2018

www.europa.eu/cultural-heritage/

ევროპის კულტურული მემკვიდრეობა - სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის

www.europa.eu/teachers-corner/sites/teacherscorner/files/files/eych-2018-toolkit-teachers_en.pdf

კულტურული მემკვიდრეობის დეტექტივები - ონლაინ თამაში

www.europa.eu/kids-corner/eych

ევროპის საბჭო

www.coe.int/en/web/about-us/who-we-are

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

www.echr.coe.int

ევროპის საბჭო - კულტურა და კუტურული მემკვიდრეობა

www.coe.int/heritage

ევროკომისია

www.ec.europa.eu/programmes/creative-europe/node_en

ევროპის პარლამენტი

www.europarl.europa.eu/visiting/en/strasbourg/hemicycle-parlamentarium-visits

ევროპის ახალგაზრდული ცენტრი, სტრასბურგი

www.coe.int/en/web/youth/eyp-strasbourg

სტრასბურგი, ევროპული მემკვიდრეობის ნიშანი

www.ec.europa.eu/programmes/creative-europe/actions/heritage-label/sites/strasbourg_en

სტრასბურგი, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი

whc.unesco.org/en/list/495



ილუსტრაციები: [vecteezy.com](https://www.vecteezy.com)
პიქტოგრამები: [FontAwesome.com](https://fontawesome.com)

www.europeanheritagedays.com

 www.facebook.com/EHDays

 www.instagram.com/europeanheritagedays

 www.twitter.com/JEP_EHD

შემოგვიერთდი!

**#HeritageMakers
#EHDs #JEP2019
#EuropeForCulture**

